პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1949 წ. № 217 (8520). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

კოლექტიური ხელმძღვანელობა მუშაობის წარმატების საწინდარია—„პრავდის“ 31-X მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია (მე-2 გვერდი).
ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია (მე-2 გვერდი).
ვახტანგ ჭელიძე—ნორჩი თაოსნის საყვარელი ჟურნალი (მე-3 გვერდი).
მოამზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონს (მე-3 გვერდი).
რთველი კახეთში (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

კოლექტიური ხელმძღვანელობა მუშაობის წარმატების საწინდარია

კომუნისტურმა პარტიამ — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელმა და წარმმართველმა ძალამ — მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. იგი სარგებლობს უსაზღვრო ავტორიტეტით და მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით. ლენინ-სტალინის პარტია ძლიერია კომუნისტების მაღალი იდეურობითა და ორგანიზაციული დისციპლინით, აქტივობითა და შეგნებულობით, მშრომელთა მასებთან ურღვევი კავშირით.

დემოკრატიული ცენტრალიზმის ურყევ პრინციპებზე აგებული ბოლშევიკური პარტია ამხანაგ სტალინის განმარტებით წარმოადგენს მებრძოლ, აქტიურად მოაზროვნე, თვითმოქმედ, მჩქეფარე სიცოცხლით მცხოვრებ ორგანიზაციას, რომელიც ანგრევს ძველს და ქმნის ახალს, კომუნისტურს. შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე განუწყვეტლივ ვითარდება პარტიის წევრთა აქტივობა და თვითმოქმედება, ძლიერდება მათი პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის, უფრო და უფრო მტკიცდება კავშირი ხელმძღვანელებსა და პარტიულ მასებს შორის.

ამუამად, როცა ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გადადის სოციალიზმიდან კომუნიზმში, პარტია გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს თვითეულ თავის ორგანიზაციას. პარტია ისწრაფვის იმისაკენ, რომ უფრო გააუმჯობესოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი. აქედან გამომდინარეობს პარტიული ორგანოების მუშაობის მეთოდების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა.

მოწინავე რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ისინი სამეურნეო მშენებლობასა და პოლიტიკურ მუშაობაში დიდ წარმატებას უწინარეს ყოვლისა იმიტომ აღწევენ, რომ მუდამ ეყრდნობიან ფართო აქტივს, კომუნისტებს, ეთათბირებიან მათ, ყურს უგდებენ მათს ხმას, პრაქტიკულ საქმიანობაში აბამენ მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შენდება. მხოლოდ ისეთ ვითარებაში, როცა პარტიული ორგანოები და მათი ხელმძღვანელები მუდამ გრძნობენ, რომ ანგარიში უნდა ჩაბარონ კომუნისტებს, რომელთა კონტროლს ექვემდებარებიან, მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის დაცვისა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღების დროს შეიძლება ჩამოყალიბდნენ და გაიზარდონ ნამდვილი პოლიტიკური მუშაკები.

პარტიულ მუშაობაში სწორი ხელმძღვანელობა შეუთავსებელია ადმინისტრირებასთან. პარტიული მუშაკი პოლიტიკური ხელმძღვანელია. იგი მუდამ მასებში უნდა ტრიალებდეს, მათ აქტიურ საქმიანობას აწყობდეს. ამასთან მისი მუშაობის მთავარი მეთოდი დარწმუნების მეთოდია. ყოველი ხელმძღვანელის ძვირფასი თვისება უნდა იყოს ახლის გრძნობა, მასების ხმისათვის ყურის დაგდების უნარი, საზოგადოებრივ მუშაობაში ფართო აქტივისა და რიგითი კომუნისტების მიზიდვის უნარი, მათი გამოცდილების გამოყენების უნარი.

პარტიული ორგანიზაციების მრავალფეროვანი საქმიანობის კონკრეტული, სწორი ხელმძღვანელობის ინტერესები პარტიული კომიტეტებისაგან მოითხოვენ, რომ ისინი ღრმად და ყოველმხრივ ჩასწვდნენ საქმის არსს, კოლექტიურად განიხილონ საქმიანი საკითხები, კოლექტიურად იმოქმედონ. ამიტომ შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი არღვევს მუშაობის კოლეგიალობის პრინციპს და ცდილობს საქმეს ერთპიროვნულად უხელმძღვანელოს. ჭერძოდ, ასეთი პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა საკავშირო კ. პ. (ბ) გორკის ოლქის ბალახნის საქალაქო კომიტეტში. საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვოლკოვი ისე კი არ მოქმედებს, როგორც პოლიტიკური მუშაკი, არამედ ისე, როგორც ადმინისტრატორი-განმკარგულებელი. მან თავი მიიჩნია ყველაზე გამოცდილ და უცოდველ მუშაკად, ამიტომ აღარ ეთათბირება პარტიულ აქტივს, აღარ ეყრდნობა მას. საქალაქო კომიტეტის მდივანი არსებითად ყველა საკითხს თვითონ წყვეტს. საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე არ ხდება საკითხთა კოლექტიური განხილვა, არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა. საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები პირველ მდივანთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით, მდუმარედ ეთანხმებიან მას მაშინაც კი, როცა აშკარა არასწორ გადაწყვეტილებათა მიღება ხდება.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოითხოვს ხელმძღვანელისაგან მაღალ კულტურას, საქმის ზედმიწევნით ცოდნას, კოლექტივის წევრთა აზრის მოსმენის, მათი დარწმუნების, მათზე დაყრდნობის უნარს. ამიტომ ადმინისტრირება არ უნდა ხდებოდეს პარტიულ მუშაობაში.

კოლეგიალობის პრინციპი უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხთა კოლექტიურ განხილვას, გადაწყვეტილებათა კოლექტიურ შემუშავებას. პარტიული ორგანოს გადაწყვეტილება კოლექტიური მუშაობის, კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. „ეს რომ არ ყოფილიყო, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — გადაწყვეტილებათა ძალება რომ ერთპიროვნულად ხდებოდეს, ჩვენს მუშაობაში უაღრესად სერიოზული შეცდომები გვექნებოდა. ხოლო რამდენადაც ყოველ ჩვენგანს საშუალება აქვს გასწოროს ცალკეულ პირთა შეცდომები და რამდენადაც ჩვენ ანგარიშს ვაწევთ ამ გასწორებას, ჩვენი გადაწყვეტილებანი მეტად თუ ნაკლებად სწორია“.

კოლექტიური ხელმძღვანელობის მეთოდი გულისხმობს, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორც წესი, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნას პარტიული კომიტეტის სხდომაზე. ზოგჯერ კი ეს მოთხოვნა ირღვევა.

მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის ბიურო საკმაოდ ხშირად მიმართავს ისეთ პრაქტიკას, რომ გადაწყვეტილებას იღებენ ბიუროს წევრთა გამოკითხვის გზით და არა ბიუროს სხდომებზე განხილვის შედეგად. ამა წლის დამდეგიდან ბიუროს „გამოკითხვის წესით“ განიხილა დაახლოებით ასი სხვადასხვა საკითხი. მათ შორის არის ისეთიც, რომლებიც აუცილებლად მოითხოვდნენ განხილვას. მაგალითად, გამოკითხვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი „სუზუნის რაიონში მოსავლის აღების მსვლელობის ნაკლოვანებათა შესახებ“, „კოჩენევოს რაიკომის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესრულების შესახებ“, „დოვოლნოეს რაიონში საწევრო ანარიცხების აკრეფის საქმეში დაუდევრობის შესახებ“.

ზოგიერთ პარტიულ მუშაკს შეცდომით ჰგონია, თითქოს „გამოკითხვით“ გადაწყვეტილებათა მიღებით ოპერატიულობას იჩენს პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ხელმძღვანელობაში. ნამდვილად კი ასეთ მეთოდს საერთო არაფერი აქვს ოპერატიულობასთან.

რასაკვირველია, საკითხების კოლექტიური განხილვა და გადაწყვეტა სრულიადაც არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს პარტიული კომიტეტის თვითეული წევრის პირად პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...როგორც კოლეგიალობაა საჭირო ძირითადი საკითხების განსახილველად, ისევე საჭიროა ერთპიროვნული პასუხისმგებლობა და ერთპიროვნული განმკარგულებლობა, რომ არ მოხდეს საქმის გაჭიანურება, შეუძლებელი გახდეს პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება“. პარტიული კომიტეტის ყველა წევრის მოვალეობაა პასუხისმგებლობა იგრძნოს საკითხების განხილვისას და გადაწყვეტილებათა შემუშავებისას, დაინტერესდეს მიღებული გადაწყვეტილების ბედით, გულმოდგინედ იბრძოლოს მისი განხორციელებისათვის.

ყოველი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ კომიტეტთა პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების რეგულარულად მოწვევას. აქ პარტიული მასები ამოწმებენ თავიანთ ხელმძღვანელთა მუშაობას, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ამხილებენ მუშაობის ნაკლოვანებებს და სახავენ პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანათა განხორციელების ღონისძიებებს. პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები კოლექტიური ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან საშუალებას, კადრების ბოლშევიკური აღზრდის სკოლას წარმოადგენენ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის მიუთითებია პარტიული ორგანიზაციებისათვის, რომ საჭიროა რეგულარულად ეწყობოდეს პარტიული კომიტეტების პლენუმები და აქტივის კრებები.

ნამდვილი კოლეგიალობა პარტიულ მუშაობაში გულისხმობს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებას. პარტიული ხელმძღვანელი კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების მაგალითს უნდა იძლეოდეს, საქმის ინტერესებს პირად თავმოყვარეობაზე მაღლა უნდა აყენებდეს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „კოლექტიურად მოქმედების უნარი, მზადყოფნა ამისათვის, რომ ცალკეულმა ამხანაგებმა თავიანთი ნება დაუმორჩილონ კოლექტივის ნებას, სწორედ ამას ეწოდება ჩვენში ნამდვილი ბოლშევიკური მამაცობა. იმიტომ რომ, თუ ახეთი მამაცობა არ არის, თუ არ არის, თუ გნებავთ, თავისი თავმოყვარეობის დაძლევის და თავისი ნებისყოფის კოლექტივის ნებისყოფისათვის დამორჩილების უნარი, — თუ არ არის ეს თვისებები — არ არის კოლექტივი, არ არის კოლექტიური ხელმძღვანელობა, არ არის კომუნიზმი“.

მტკიცედ დაიცავენ რა შინაპარტიულ დემოკრატიას, კოლეგიალობას მუშაობაში, პარტიული ორგანიზაციები უფრო გააძლიერებენ თავიანთ ბრძოლისუნარიანობას, უფრო განამტკიცებენ კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან და ახალ-ახალ წარმატებას მიაღწევენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

„პრავდის“ 31-X მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

მოსკოვსა და ლენინგრადში გაიგზავნა 68 ვაგონი ციტრუსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს საჩუქრად გაუგზავნეს 68 ვაგონი ახალი მოსავლის ციტრუსოვანი ნაყოფი. მოსკოვში გაგზავნილია 54 ვაგონი, ხოლო ლენინგრადში—14 ვაგონი

კიროველ დაზგათმშენებელთა მორიგი გამარჯვება

31 ოქტომბერი თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივისათვის საზეიმო დღე იყო. ამ დღეს კიროველმა დაზგათმშენებლებმა დეპეშა მიიღეს, რომ მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებიდან და მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

ამ სასიხარულო ცნობის მიღებასთან დაკავშირებით გუშინ, სასადილო შესვენებისას დაზგათმშენებლები სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ. მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გოგელიძემ. დეპეშა მეკრებილთ გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მელაძემ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი თვიდან თვემდე აუმჯობესებს მუშაობას და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს, — ამბობს ამხ. მელაძე.—მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, ჩვენ ბევრად მეტი დაზგა გამოვუშვით, ხოლო მესამე კვარტალში კიდევ უფრო გავადიდეთ პროდუქციის გამოშვება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი პრემიის მონიჭება ჩვენი მუშაობის უაღრესად დიდი შეფასებაა. ჩვენ მოვალენი ვართ უფრო უკეთესად ვიმუშაოთ, ვადამდე გავანაღოდთ მეოთხე კვარტალის გეგმა, სანიმუშოდ მოვემზადოთ მომავალ წელს ახალ დავალებათა შესასრულებლად.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები. ამწყობი საამქროს ზეინკალმა ა. ბენდიანიშვილმა, მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატებმა დ. მოსესოვმა და პ. ზუბრიცკიმ, საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსმა ინჟინერმა დ. გოგოლაძემ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და მოუწოდეს ქარხნის კოლექტივს უფრო გაუმჯობესონ მუშაობა, მტკიცედ შეინარჩუნონ საპატიო ჯილდო.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უმოკლეს დროში მთლიანად ნაკადურ წარმოებაზე გადაიყვანოს „დიპ-300“ დაზგების წარმოება, გაუმჯობესოს გამომშვებული პროდუქციის ხარისხი, აამაღლოს წარმოების კულტურა, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლით უზრუნველყოს მეოთხე კვარტალის გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულება და მიაღწიოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშის შენარჩუნებას.

ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და მრეწველობას ჩააბაროს 3.500 ცენტნერი ყურძენი

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობამ 25 ოქტომბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა საკუთარი მოსავლის ყურძნის კრეფის სახელმწიფო გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. თვალიაშვილი იტყობინება, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და მრეწველობას ჩააბაროს სულ მცირე 3.500 ცენტნერი ყურძენი.

როგორ ასრულებენ მევენახეები ნაკისრ ვალდებულებებს

ამბროლაურის რაიონს ნაკისრი ჰქონდა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 2.000 ცენტნერი ყურძენი. უკვე ჩაბარებულია 3.390 ცენტნერი.

ქასპის რაიონმა ვალდებულება იკისრა სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ჩაებარებინა 2.200 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად ჩაბარებულია 3.381 ცენტნერი.

საგარეჯოს რაიონმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 2.000 ცენტნერი ყურძენი, ვალდებულება კი 1.500 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 29 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი ფოთლის 83,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 29 ოქტომბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა, სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად. მარცვლეულის დამზადება გრძელდება.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

28 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ჯარების მუშაკთა დიდ ჯგუფს გადაეცა ორდენები და მედლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 6 და 24 აგვისტოს ბრძანებულებანი მთავრობის სპეციალური დავალების წარმატებით შესრულებისათვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებსა და ორგანოებში ნამსახურობისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ჯარების გენერლების, ოფიცრების, სერჟანტებისა და რიგითი შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ლენინის ორდენი გადაეცა პოდპოლკოვნიკ გ. ლ. გოდერძიშვილს, პოლკოვნიკ ტ. დ. კაკაურიძეს, პოდპოლკოვნიკ ზ. მ. კუდუხაშვილს, მაიორ ტ. პ. სანგულიას, პოდპოლკოვნიკ გ. გ. ჩიტაიშვილს, პოდპოლკოვნიკ გ. ვ. ჭყონიას და სხვებს. ლენინის ორდენი მიიღო სულ 26 კაცმა.

წითელი დროშის ორდენი გადაეცა გენერალ-ლეიტენანტ გ. თ. კარანაძეს, გენერალ-ლეიტენანტ შ. ო. წერეთელს, კაპიტან პ. დ. ჩარგეიშვილს და სხვებს, სულ 25 კაცს.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენი გადაეცა პოლკოვნიკ შ. ი. ბოკუჩავას და პოლკოვნიკ ს. გ. კაჭარავას.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენი გადაეცა პოლკოვნიკ გ. ზ. ბაინდურაროვს, პოლკოვნიკ შ. თ. გოგიას, მილიციის III რანგის კომისარს კ. გ. ნაჭყებიას, პოდპოლკოვნიკ გ. რ. შელიას და სხვებს. სამამულო ომის II ხარისხის ორდენი მიიღო სულ 9 კაცმა.

წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო პოლკოვნიკმა ს. ე. არობელიძემ, პოდპოლკოვნიკმა ა. გ. ნამორაძემ და სხვებმა, სულ 6 კაცმა.

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მიიღო 107 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა გენერალ-ლეიტენანტმა გ. თ. კარანაძემ.

— მთავრობის მაღალი ჯილდო, — თქვა ამხ. კარანაძემ,—გვავალებს ვიმუშაოთ უფრო თავდადებით, უფრო ენერგიულად, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაღალი ჯილდოს პასუხად, ჩვენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, მთელ ძალღონეს და ცოდნას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ღირსეულად გავამართლოთ ლენინ-სტალინის პარტიისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს ნდობა.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ მაღალი ჯილდო მიულოცა დაჯილდოებულთ და მუშაობაში ახალი წარმატებანი უსურვა.

(საქმესი).

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ერთთვიური

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავთან დაკავშირებით პირველი ოქტომბრიდან გამოცხადებულია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ერთთვიური.

რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისათვის დახმარებისა და მათი მუშაობის სწორად წარმართვის მიზნით შემუშავებულია პრაქტიკული ღონისძიებანი.

საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ავტორებისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები.

ერთთვიურის პერიოდში შემოვიდა მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ახალი ბინები მეშახტეებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ ააგო ორსართულიანი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი. დასასრულს უახლოვდება საერთო საცხოვრებლის ტიპის ორი ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელიც 160 მეშახტეს დაიტევს. საერთო საცხოვრებლებს ექნება კეთილმოწყობილი სასადილო და წიოელი კუთხე. ერთი სახლის მშენებლობა 7 ნოემბრისათვის დამთავრდება.

სასკოლო შენობა

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ნიგვზიანში მთავრდება ახალი ორსართულიანი 22-ოთახიანი სასკოლო შენობის მშენებლობა. მშენებლობა 650.000 მანეთი ჯდება.

სკოლის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ნიგვზიანის, ხაჯალიისა და არჩიულის კოლმეურნეები.

რუსული ენის შემსწავლელი წრე კოლმეურნეობაში

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ ტეზრის ქოხ-სამკითხველოსთან მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჩამოყალიბდა და ნაყოფიერად მუშობს რუსული ენის შემსწავლელი წრე.

წრეში გაერთიანებულია 21 მსმენელი.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

კაჭრეთი. (საკ. კორ.). რაიონის 596 მრავალშვილიან და 82 მარტოხელა დედას უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო დახმარების სახით მიეცა 1.752.900 მანეთი. 10 შვილის დედამ ა. პაპაშვილმა 40.700 მანეთი მიიღო, ხოლო 11 შვილის დედამ სონა მუხალიანმა 48.700 მანეთი. 34.000 მანეთი მიიღო სოფიო ვასილევამ, ევლამპია გრიქულოვმა კი 36.000 მანეთი.

სოციალისტური შრომის გმირები

ბ. ო. მახაძე

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.058 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ე. ნ. მგელაძე

მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.461 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მ. გ. მაჭაცარია

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.020 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



დ. ო. კოტვახიძე

ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 454 ცალი ლიმონის მოყვანისათვის.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ იოსებ ბესარიონის-ძეს, რომ ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ერთი მილიონი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 1 მილიონ 202 ათასი ფუთი პური.

გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ნ. ბოგომოლიუბოვი
ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. რაზზაკოვი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ხ. ტამუშუნინი
ყირგიზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. ბაბრამოვი
ყირგიზეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი მ. რისალიევი

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

კიევი, 29 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს კიევში ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან აკადემიურ თეატრში შეიდა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ უკრაინელი ხალხის გაერთიანების ათი წლისთავს. საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა ეს ისტორიული სესია.

დონბასის მაღაროელებმა, დნეპროპეტროვსის მეტალურგებმა, ბორისლავის ნავთის მუშაკებმა, კიევის, ხარკოვის, ოდესისა და ლვოვის მანქანათმშენებლებმა, რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, უკრაინული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებმა, ყველა პროფესიის მუშაკებმა ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს დღესასწაული.

სადღესასწაულოდ არის მორთული უკრაინის დედაქალაქი კიევი. დროშებით, ტრანსპარანტებით, სხვადასხვა ფერი ილუმინაციის გირლანდებით, მზატვრული პანოებით მორთულია საცხოვრებელი სახლებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა ფასადები. ყველგან კაცობრიობის გენიოსების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებია.

უკრაინის სსრ ჯეგერთელა ღერბი აგვირგვინებს ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის „შენობის გუმბათს. აქ საიუბილეო სესიაზე შეიკრიბნენ უკრაინელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მრავალრიცხოვანი სტუმრები. სცენის სიღრმეში, ხავერდის დროშების ფონზე, ცოცხალ ყვავილებში აღმართულია დაფნის ფოთლებით შემკული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. ოქროსფრად ელვარებს წარწერა „Х років“. დიდ წითელ ტილოზე დაწერილია დიდი სტალინისადმი საბჭოთა უკრაინის მშრომელთა ერთსულოვანი მისალმების სიტყვები: **„Хай живе найкращий друг українського народу, наш мудрий вождь і вчитель—великий Сталін!“**

18 საათი. თავმჯდომარის მაგიდასთან ადგილს იკავებენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ა. თ. ფედოროვი და მ. ს. კიხ.

სესიის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, დ. ს. კოროტჩენკოს, ლ. გ. მელნიკოვის, ლ. რ. კორნეიცის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების, საბჭოთა უკრაინის მთავრობის წევრების გამოჩენას მთავრობის ლოჟებში.

საიუბილეო სესია გახსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ა. თ. ფედოროვმა.

დეპუტატ გ. ტ. პინჩუკის წინადადებით საიუბილეო სესიის სამპატიო პრეზიდიუმში მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით, „ვაშას“ შეძახილებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, ხოლო სამპატიო თავმჯდომარედ — დიდი სტალინი.

დელეგატები და სტუმრები აღფრთოვანებით დგებიან ფეხზე და მქუხარე ოვაციას მართავენ იმის პატივსაცემად, ვინც დიდ ლენინთან ერთად შექმნა უკრაინის ნაციონალური საბჭოთა სახელმწიფო, გაათავისუფლა უკრაინელი ხალხი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, გაატარა განსაცდელთა ქარიშხალში, გააერთიანა იგი ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ.

მოხსენება უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ უკრაინელი ხალხის გაერთიანების ათი წლისთავის შესახებ გააკეთა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შემდეგ სვლიამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. დარბაზში ახალი ძალით ქუხს ოვაცია, გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. საზეიმოდ ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა გადაიქცა უკრაინელი ხალხის საბჭოთა პატრიოტიზმის, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მისი დარაზმულობის, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო აღმაფრთოვანებელ მანიფესტაციად.

* * *

სესიის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინის დედაქალაქისა და მოსკოვის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

უკრაინეელი ხალხის დიდი დღესასწაული

300 ათასიანი დემონსტრაცია უკრაინის დედაქალაქში

კიევი, 30 ოქტომბერი. (საკუთარი). საზეიმოდ მორთულია უკრაინის დედაქალაქი. შემოდგომამ ოქროსფრად მოავარაყა ხეები, რთველით დაფარა სახურავები სახლებისა, რომლებიც მორთულია დროშებითა და ტრანსპარანტებით, მზატვრული პანოებით. ყველგან უკრაინის ერთიან სახელმწიფოდ უკრაინელი ხალხის გაერთიანებისა და განმათავისუფლებლის დიდი სტალინის პორტრეტებია.

ტრიბუნები აავსეს სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა, უკრაინის სსრ მთავრობის წევრებმა, საბჭოთა კავშირის მგრძნობა და სოციალისტური შრომის გმირებმა, რესპუბლიკის ოლქების დელეგაციებმა, უკრაინის დედაქალაქის გამოჩენილმა ადამიანებმა — საწარმოთა სტახანოველებმა, მეცნიერებისა და უკრაინული კულტურის მოღვაწეებმა.

მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის სსრ მთავრობის წევრები და სხვები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად ეგებებიან.

სამხედრო პარადის შემდეგ კიევის ცენტრალურ მაგისტრალზე სიმღერითა და მუსიკით შემოვიდნენ დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები.

შრომითი გამარჯვებების პატაკებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე ქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. 140 ქარხანა და ფაბრიკა უკვე მუშაობს 1950 წლისათვის დაგეგმილ დონეზე, ასობით საწარმომ შეასრულა 10 თვის გეგმა. 5 ათასი სტახანოველი მუშაობს მომავალი ხუთწლედის ანგარიშში.

მოდიან მოწინავე ქარხნის „ტრანსსიგნალის“ მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები, მათ მოაქვთ ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტისათვის გამომშვებული პროდუქციის ნიმუშები. ტრიბუნას ჩაუარეს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის, საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა, თეატრების კოლექტივებმა.

დემონსტრანტთა რიგებიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, გმირი რუსი ხალხის პატივსაცემად, დიდი სტალინის პატივსაცემად. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია კიევის ფიზკულტურელთა მრავალათასიანმა კოლონამ. მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნას ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, ძალოსნებმა და მოფარიკაველებმა, მძლოსნებმა და მცურავებმა, ჩოგბურთელებმა და გიმნასტებმა, ფეხბურთელებმა და ველოსიპედისტებმა.

უკრაინაში წელს ფიზკულტურელთა არმია გაიზარდა 1 მილიონზე მეტი კაცით. ზაფხულში სპორტსმენებმა 400 შესწორება შეიტანეს რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. დამყარებულია 33 ახალი საკავშირო და 6 მსოფლიო რეკორდი.

თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე უკრაინელი ხალხი ყოველთვის გრძნობდა დიდი რუსი ხალხის მძლავრ მხარდაჭერასა და ძმურ დახმარებას. პოდოლესკისა და კაგანოვიჩის რაიონების კოლონების პლაკატები და ტრანსპარანტები ადიდებენ ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას, ცხადყოფენ რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სახალხო მეურნეობის აღდგენაში, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

კიევის მშრომელთა სადღესასწაულო სვლას ამთავრებენ ოქტომბრისა და რკინიგზის რაიონების კოლონები. ტრიბუნებს ჩაუარეს მანქანათმშენებლებმა, გორკის სახელობის დაზგების ქარხნის სტახანოველებმა, მრავალჩამჩიანი ექსკავატორების შემქმნელებმა — ქარხანა „კრასნი ექსკავატორის“ კოლექტივმა, სამშენებლო ინდუსტრიის ახალი, ამას წინათ შექმნილი საწარმოების მუშებმა. ახალი ძალით გაისმის შეძახილები:

— დიდება დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს!

300 ათასზე მეტმა კიეველმა მიიღო მონაწილეობა სადღესასწაულო დემონსტრაციაში უკრაინელი ხალხის გაერთიანების ათი წლისთავის პატივსაცემად. ეს იყო უკრაინელი ხალხის საბჭოთა პატრიოტიზმის, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, კომუნიზმის საქმისადმი მისი ერთგულების აღფრთოვანებული დემონსტრაცია.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

მინსკი, 29 ოქტომბერი. (საკუთარი). საზეიმოდ გამოიყურება ბელორუსიის სსრ დედაქალაქი მინსკი. ათასობით სხვადასხვაფერი ნათურა და ლოზუნგები აჩიოლდნებენ ქუჩებს, რომლებიც მიდიან ბელორუსიის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი დიდი თეატრის შენობისაკენ. თეატრის შენობის ფასადზეა დროშები, წითელი ტილოები; ტრანსპარანტები. „ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“ შენობაზე აღმართულია ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. 29 ოქტომბერს აქ შეიდგა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე საიუბილეო სესია.

სესიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თეატრში შეიკრიბნენ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. რესპუბლიკის ყველა ოლქიდან სესიაზე ჩამოვიდა ოთხასამდე სტუმარი. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა დელეგაციები.

საღამოს 6 საათია. დამსწრეთა თვალი მიპყრობილია სცენისაკენ. მის სიღრმეში წითელ დროშებშია ბელორუსიის სსრ სახელმწიფო ღერბი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელების, ბელორუსიის სსრ ორგანიზატორების, სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ბარელიეფები. სცენის თავზე ოქროს ფრად ბრწყინავს ციფრი „X“ და ლოზუნგი: „გაუმარჯოს ბელორუსიის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში ბელორუსი ხალხის გაერთიანების ათი წლისთავს!“

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილს იკავებენ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ა. ბელსკი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატი კ. მ. მიცკევიჩი (იაკუბ კოლასი) და დეპუტატი ლ. დ. მიახი. ლოჟებში არიან ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ა. ბელსკი ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე საიუბილეო სესიას გახსნილად აცხადებს. საზეიმოდ ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

შემოდის წინადადება, რომ საიუბილეო სესიის სამპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო და სესიის სამპატიო თავმჯდომარედ — მშრომელთა გენიალური ბელადი, ბელორუსი ხალხის საუკეთესო მეგობარი იოსიფ ბესარიონის-ძე სტალინი. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის შეძახილები: „საკავრელ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „დიდ სტალინს — დიდება!“, „გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“.

მოხსენება ბელორუსიის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ ბელორუსი ხალხის გაერთიანების ათი წლისთავის შესახებ გააკეთა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ე. კლეშჩევმა.

ამხ. კლეშჩევმა დღეგრძელობა უსურვა დიდ რუს ხალხს და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს, გმირ საბჭოთა არმიას, ბოლშევიკებს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, დიდ ბელადს, მამასა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს! ერთიანი აღფრთოვანებით ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!“, „გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!“, „დიდ სტალინს დიდება!“.

შემდეგ საბჭოთა არმიის მეომრების სახელით მისალმებით გამოვიდა ამხ. ტერტიჩნი.

საიუბილეო სესიის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ბელორუსი ხალხის დიდი დღესასწაული

მრავალათასიანი მიტინგი მინსკში

მინსკი, 30 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს დილადან ბელორუსიის დედაქალაქის ქუჩებში გაისმის სმენერა და მუსიკა. მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონები მდიოდნენ ლენინის სახელობის მოედნზე. აქ შეიდგა მრავალათასიანი მიტინგი, მიძღვნილი ბელორუსიის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ ბელორუსი ხალხის გაერთიანების 10 წლისთავისადმი.

დროშებითა და ბელორუსული ორნამენტებით მორთულ მოედანზე შეიკრიბა მინსკის 50 ათასზე მეტი მშრომელი: სამრეწველო საწარმოთა და ახალ მშენებლობათა სტახანოველები, სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოსამსახურეები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სკოლების მოსწავლეები, საბჭოთა არმიის მეომრები. კოლონებს მოაქვთ დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტები. ქარი არხევს ალისფერ დროშებსა და წითელ ტრანსპარანტებს.

ბელორუსიის სსრ მთავრობის სახლის ცენტრალურ აივანზე გამოჩნდნენ ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. გუსაროვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ე. კლეშჩევი, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ი. ზაკუტიანი, ვ. ა. ტომაშევიჩი, პ. მ. ბრენჩი, ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. მ. მაშეროვი, პარტიის მინსკის საქალაქო კომიტეტის მდივნები, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, გენერლები, მეცნიერები, მწერლები.

მიტინგი გახსნა ბელორუსიის კ. პ. (ბ) მინსკის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. კ. ჩერნიშევმა.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ი. გუსაროვმა ბელორუსიის მთავრობისა და ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მიულოცა მინსკის მშრომელებს ბელორუსი ხალხის დღესასწაული.

— განვლო 10 წელმა, — ამბობს ამხ. გუსაროვი, — მას შემდეგ, რაც განხორციელდა ბელორუსი ხალხის სანუკვარი ოცნება. დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები შეეერთნენ საბჭოთა ხალხების ერთიან-ძმურ ოჯახში. დიდი სამამულო ომის ცეცხლში ბელორუსიის მშრომელებმა ცხადყვეს თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის, მზრუნველი სტალინისადმი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ცხოვრობენ და თავდადებულად მუშაობენ ბელორუსიის დასავლეთი ოლქების მშრომელები. აქ აღადგინეს ასობით ფაბრიკა და ქარხანა, წარმოებს ახალი სამრეწველო მშენებლობა. უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი და ასეულ ათასობით გლეხური მეურნეობა უკვე დაადგა ერთად ერთ სწორ გზას — საკოლმეურნეო ცხოვრების გზას.

დასასრულ ამხ. გუსაროვი დღეგრძელობას უსურვებს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, ბელორუს ხალხს, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საკავშირო კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. მოდგანზე გრიალებს აღფრთოვანებული „ვაშა“, გაისმის შეძახილები: „დიდება დიდ სტალინს!“.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ: მინსკის დეპოს საუკეთესო მემანქანე ამხ. რასტორგუეევი, ბარანოვიჩის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კონდიში, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. სიდოროვი, ბელორუსი მწერალი კ. კრაპივა და კომკავშირის მინსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. იაზვინსკაია.

მიტინგის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებას ბელორუსიის სს რესპუბლიკისადმი.

მიტინგზე უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

მინსკის პარკებსა და ბაღებში საღამოს გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა, ანთებულ იქნა საღღესასწაულო ფეიერვერკები.

თბილისში ჩამოვიდა საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ დელეგაცია

31 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ დელეგაციის ჯგუფი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტ ბ-ნ ფერნან გრენიეს მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. გოგუაძე და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

საღამოს სტუმრები დაესწრნენ რუსთაველის სახელობის დრამატიული თეატრის სპექტაკლს „ნ. ბარათაშვილს“ (საქდესი).

ფეხბურთი

თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა გაღამწყვეტი მაჯრი მოიგო

დამთავრდა ოსტატთა მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების 1949 წლის პირველობის გათამაშება, რომელიც ხუთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. გათამაშების მონაწილე 80 გუნდი დაყოფილი იყო ექვს ზონად. ზონებში გამარჯვებული, აგრეთვე ზოგიერთი შერჩეული გუნდები (სულ შვიდი) ერთმანეთს შეხვდნენ ფინალურ მატჩში, რომელიც მოეწყო ქ. დონის როსტოვში.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა. თბილისელებს ბრძოლა მოუხდათ ცენტრალურ ზონაში, სადაც თავმოყრილი იყო ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკის ფეხბურთელთა 14 საუკეთესო გუნდი. თბილისის „სპარტაკის“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ერთსულოვანმა კოლექტივმა სულ 52 შესაძლებლობიდან მოაგროვა 47 ქულა და დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვება ზონალურ შეჯიბრებაში.

ფინალურ შეჯიბრებაში პირველ სამ ადგილზე ქულების ერთნაირი რაოდენობით (შვიდ-შვიდი) გამოვიდნენ თბილისის „სპარტაკის“, კალინინგრადის (მოსკოვის ოლქი) და ოდესის „პიშჩევიკის“ გუნდები. რადგან გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება (რომელიც თბილისელებს უკეთესი ჰქონდათ — 8:4) არ წყვეტდა პირველი ადგილის საკითხს, დაინიშნა დამატებითი შეხვედრები აღნიშნულ სამ გუნდს შორის.

თბილისის „სპარტაკმა“ ოდესის „პიშჩევიკი“ დაამარცხა ანგარიშით — 2:1. ოდესელები დამარცხდნენ კალინინგრადელებთანაც ანგარიშით — 1:2. ამრიგად, პირველი ადგილის ბედი დამოკიდებული იყო თბილისის „სპარტაკისა“ და კალინინგრადის ფეხბურთელთა გუნდების მატჩის შედეგზე.

ეს მატჩი შიდგა 30 ოქტომბერს ქალაქ დონის როსტოვში. პირველი ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა უშედეგოდ. მეორე ტაიმში ერთ-ერთი ირიგინის დროს თბილისელთა გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ირაკლი ლომაიამ შეძლო ბურთის გატანა კალინინგრადელთა კარში. ეს ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. თბილისელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით — 1:0.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ოსტატთა მეორე ჯგუფის გუნდების 1949 წლის გათამაშებაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია). ამით სპარტაკელებმა მოიპოვეს უფლება 1950 წელს მონაწილეობა მიიღონ გათამაშებაში სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის ოსტატთა პირველ ჯგუფში.

ა. გოგოლაშვილი

თბილისის თეატრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32 წლისთავისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავისათვის გაცხოველებით ემზადებიან თბილისის თეატრები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ამზადებს სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის ოპერას — „ბზია“. ოპერის დადგმაზე მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი მ. კვალაშვილი, ოპერას მხატვრულად აფორმებს კ. კუკულაძე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი დგამს კონკურსზე პრემირებულ თ. დონეაშვილის პიესას —„გამარჯვებულთა ღიმილი“. რეჟისორია ა. დვალიშვილი, მხატვარი — კ. ლაბაიშვილი. სპექტაკლში როლებს შეასრულებენ მსახიობები თ. თარხნიშვილი, ერ. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, გ. კიკნაძე, ლ. ლომბაშიძე, ნ. ჩხეიძე, მ. გეგეჭკორი, ნ. მგალობლიშვილი, გ. ვაჩნაძე, კ. მახარაძე და სხვები.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დასადგმელად მზადდება გ. შატბერაშვილის პრემირებული პიესა „ძველი სახლი“. პიესის დადგმაზე მუშაობს რეჟისორი ლ. შატბერაშვილი, მხატვრულად აფორმებს ბ. ქვლივიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. სარაული, ა. ომიაძე, გ. შავგულიძე, ა. გომელაური, თ. ჩარკვიანი და მსახიობები ი. ტრაპოლკი, თ. თეთრაძე, შ. ქოჩორაძე, ტ. საყვარელიძე და სხვები.

ახალ დადგმებს ამზადებენ აგრეთვე გრიბოედოვის სახელობის, სომხური დრამის, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები.

სამი მოძმე რესპუბლიკის კალათბურთელთა მაჯრი

28-29-30 ოქტომბერს თბილისში კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე მიმდინარეობდა სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი.

მატჩის პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვეს აზერბაიჯანელმა კალათბურთელებმა (58:23, 43:27). მეორე დღეს აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ საქართველოს კალათბურთელები. გაბმული ბრძოლა ორივე ნაკრებს ერთ-ერთ ადგილზე ვერ ეყო. ბოლოს ორივე ნაკრებმა ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

მომზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონს

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო რეიდი ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში.

რეიდის მონაწილეებმა შეამოწმეს შემფუთავი ქარხნების, მიმღები პუნქტების, კოლმეურნეობების მზადყოფნა სეზონისათვის. შემოწმების შედეგებს ვბეჭდავთ „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში.

შარშან აჭარელმა მეციტრუსეებმა ჩვენს სამშობლოს მისცეს ნახევარ მილიარდზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მრავალმა მოწინავე ადამიანმა სახელი გაითქვა მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მათ მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება.

შემოწმებამ ნათელყო, რომ აჭარაში წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავებისათვის მზადება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. სეზონს მზად ხვდება აჭარაციტრუსხილდამზადების კანტორის ბათუმის შემფუთავი ქარხანა. აქ 4 დამყალიბებელი მანქანა სრულ წესრიგზეა. წელს პირველად დადგეს ლიმონის დამყალიბებელი ერთი მანქანა. ტარა-მასალა, ყველა საჭირო ინვენტარი საკმაოდ აქვთ. ქარხანა უზრუნველყოფილია მუშახელით და სპეციალისტებით. აქვთ კეთილმოწყობილი მუშათა საცხოვრებელი, სასადილო, მოწყობილია წითელი კუთხე, მუშაობს რადიო და სხვ.

კრეფის სეზონისათვის სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გასწია ბათუმის № 1 შემფუთავი ქარხნის (დირექტორი ამხ. ჯ. საფარიძე) კოლექტივმა. აქ დროულად ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, მზად არის მიმღები პუნქტი.

ციტრუსოვანთა კრეფა-გადამუშავების სეზონისათვის მზად არის აგრეთვე ახალშენის საბჭოთა მეურნეობა. აქ წარმატებით იბრძვიან დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის გასანადებ_ად. მეოთხე აგრორაიონში, სადაც აგრონომად არის ქ. გუგუნავა, უხვ მოსავალს მოელიან—სულ მცირე 6 მილიონ ცალ ნაყოფს. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ქურიძე 400 ძირი მანდარინის თვითეულ ხეზე 1.300 ცალი ნაყოფის მოკრეფას გეპირდება.

წელს აჭარელი კოლმეურნეები დიდი რაოდენობით ჩააბარებენ სახელმწიფოს ციტრუსოვანთა ნაყოფს. სეზონისათვის უკვე მზად არიან ბათუმის რაიონის ვოროშილოვისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობები, კოლმეურნეობა „კულტურა“, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ლენინისა და სტალინის, ქვედა ულიანოვკის კალინინის, მოლოტოვისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები. მათ დროულად მოამარაგეს ტარა-მასალა, მაკრატლები, ტრანსპორტი, შეაკეთეს პლანტაციებში მისასვლელი გზები, შემფუთავ ქარხნებს წესრიგზე აქვთ დამყალიბებელი მანქანები, ბევრგან გააუმჯობესეს მექანიზაცია.

მაგრამ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავებისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებანიც:

აჭარაკოოპკავშირს წელს ხელვაჩაურში უნდა აეშენებინა შემფუთავი ქარხანა, რომელიც ამ სეზონში უნდა ამუშავებულიყო. მაგრამ მშენებლობა ჭიანურდება, გეგმა 60 პროცენტით არის შესრულებული. 24 ოქტომბერს აქ თხუთმეტიოდე კაცი მუშაობდა. მშენებლობის უფროსი ამხ. თავბერიძე, ტექნიკოსი ამხ. პაპავა და აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელები ამ დიდი ქარხნის მშენებლობის საქმეში უდარდელობას იჩენენ.

აჭარციტრუსხილდამზადების ბათუმის შემფუთავი ქარხანა რამდენიმე დღეში დაიწყებს ციტრუსების ნაყოფის დამზადებას, ხოლო მიმღები საამქრო დღემდე სავსეა ციტრუსკომბინატის პროდუქტებით. არ ჩქარობენ საამქროს განთავისუფლებას, რაც ხელს შეუშლის ნაყოფის მიღებას.

გამოირკვა, რომ ჩაისუბნის შემფუთავი ქარხანა ყოველმხრივ როდია მზად სეზონისათვის. 250 მუშის ნაცვლად ჰყავთ მხოლოდ 60 კაცი. არა აქვთ ტარა-მასალის ცალკე საწყობი. საწყობის მშენებლობა დაწყებულია, მაგრამ ჯერ კედლის ამოყვანაც არ არის დამთავრებული. წესრიგზე არ არის ელგაყვანილობა, რის გამო შემოწმების დროს დამყალიბებელი მანქანები ნორმალურად ვერ ამუშავდნენ. ქარხანაში არაა დაცული სისუფთავე.

მახინჯაურის № 2 შემფუთავი ქარხანა ძირითადად მზად არის ნაყოფის გადამუშავებისათვის, მაგრამ მას საჭირო 8 ტონა საწვავის ნაცვლად აქვს 2 ტონა. საერთოდ, აჭარკოოპკავშირის შემფუთავ ქარხნებს საწვავით ამარაგებს ცეკავშირი, ხოლო ეს უკანასკნელი არ ჩქარობს საწვავის დროულად გადაგზავნისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შარშან ამ პერიოდისათვის ბათუმის რაიონის შემფუთავ ქარხნებს რკინიგზაზე გამოყოფილი ჰქონდათ ადგილები ვაგონების დასაკვირთავად. წელს კი რკინიგზა აჭიანურებს ამ საკითხის მოგვარებას. არც ერთ შემფუთავ ქარხანას დღემდე არა აქვს ადგილი გამოყოფილი.

ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების სეზონში აჭარკოოპკავშირის შემფუთავ ქარხნებს 1.050 მეტი მუშა დასჭირდებათ. დღემდე ნახევარიც კი არა ჰყავთ და არც არავითარ ზომებს იღებენ ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ისინი ფიქრობენ, რომ სეზონის დაწყების დროს მუშები თავისთავად მოვლენ. ასეთი გულდამშვიდება შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. აჭარკოოპკავშირი ყურადღებას არ აქცევს ზოგიერთ სხვა ნაკლოვანებასაც. მაგალითად, ქობულეთის შემფუთავ ქარხანაში მუშებისათვის ბინები არ ყოფნით. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ქარხნის ბინებში ცხოვრობენ გარეშე პირები, რომლებსაც კავშირი არა აქვთ ქარხანასთან. ქარხნის ეზოში გახსნილია სასადილო, რომელიც აჭარკოოპკავშირმა სოფლის კოოპერატივს გადასცა. აქ მაგარი სასმელებითაც ვაჭრობენ. ქარხანაში შემოდიან გარეშე პირები, იმართება ქეიფი, მუშები კი ვერ სარგებლობენ სასადილოთი. ქარხანა ხილის დამზადებასაც აწარმოებს. საჭიროა ტრანსპორტი, მაგრამ არცერთი მანქანა არა ჰყავს. ყოველივე ამას გულდამშვიდებით უყურებენ აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელები.

ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა სერიოზულად არ ეკიდება სეზონისათვის მზადების საქმეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემფუთავი ქარხანა ჯერ კიდევ მზად არ არის ციტრუსოვანთა მიღება-გადამუშავებისათვის. მანქანები წესრიგზე არაა, საჭიროა ელგაყვანილობის რემონტი, რომლისთვისაც დღემდე არ უზრუნიათ. შარშანდელი სეზონის შემდეგ ტარა-მასალა უყურადღებოდ ეყარა, მას აწვიმდა, რის გამო ეს მასალა ნახევრად დამპალია, მაგრამ ასეთი მასალისაგან ახლა მაინც ამზადებენ გასაგზავნ ყუთებს.

ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება-გადამუშავების სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ბათუმისა და ქობულეთის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის და სერიოზული ღონისძიებანი დასახონ, რათა უზრუნველყონ ციტრუსოვანთა ნაყოფის უდანაკარგოდ აღება, გადამუშავება და გაგზავნა. ამას მოითხოვს აჭარელი მეციტრუსეებისაგან ჩვენი სამშობლო.

რეიდის მონაწილენი:

ვ. ლომაძე (ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი), **ვ. ოგანეზოვი** (ბათუმის შემფუთავი ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი), **ო. ცინარიძე** (ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსე მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი), **უ. მეფარიშვილი** (შრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე), **ნ. ჯანჯღავა, დ. პაიჭაძე**

რთველი კახეთში

უხვია კახეთის მიწა. რა გინდა, რომ აქ არ მოჰყავდეთ: პური და სიმინდი, თამბაქო და მზესუმზირა, ეთერზეთოვანი კულტურები, ბაღჩა-ბოსტნეული... მაგრამ კახეთი ყველაზე მეტად მაინც თავისი ხარისხოვანი ღვინოებით, საუკეთესო ყურძნის პროდუქციით არის ცნობილი.

კახეთს თავისი უნიკალური ღვინოებით სპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მეღვინეობის რაიონებს შორის, როგორც ძველთაძველი მონაცემებიდან ჩანს, კახელი გლეხობა საუკუნეთა მანძილზე გულმოდგინე, დაკვირვებული მუშაობის შედეგად აუმჯობესებდა ვაზის ჯიშურ ასორტიმენტს, აყალიბებდა ქართული ორიგინალური ღვინოების მრავალ სახეს. კახეთში გავრცელებულმა ვაზის ძვირფასმა ჯიშებმა — „საფერავმა“, „რქაწითელმა“ და „მწვანემ“ ჩამოაყალიბეს მაღალი ღირსების ფართოდ ცნობილი სუფრის ორიგინალური სადესერტო ღვინოები, რომლებიც სახელს უხვეჭენ ჩვენს პროდუქციას და მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებს არ ჩამოუვარდებიან.

ყველასათვის ცნობილი კარდანახის ძლიერი და მუკუზნის ფაფრის მინდვრების პიგმენტით მდიდარი ღვინოები, იყალთოს ნაზი კახური ტიპის სუფრის, წინანდლის, ენისელის, ნაფარეულის, მუკუზნისა და სხვა სამარკო ღვინოები ხომ საყოველთაოდ განთქმულია.

კახელ მევენახეთა შორის მოწინავეთა რიგებში არიან გურჯაანელი კოლმეურნენი. შარშან მათ სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. მათი გამარჯვების შედეგები წელს უნდა ნახოთ!

გურჯაანელი მევენახეები მტკიცედ იცავენ თავიანთ სიტყვას. ისინი ყურძნის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან ჩვენს რესპუბლიკაში. მათ სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. ვენახების დამუშავების სავალდებულო აგრომინიმუმი წარმატებით განახორციელეს, შრომა კარგად მოაწყეს. მათ ნაკისრი ჰქონდათ 4.500 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოეწიათ 45 ცენტნერი ყურძენი. ამ ვალდებულებას ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. პირველად ყურძნის კრეფა მცირემოსავლიან და გამეჩხერებულ ნაკვეთებში დაიწყეს. მიუხედავად ამისა, მოკრეფილ ფართობზე რაიონმა წინასწარი გამოანგარიშებით თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ცალკეულ კოლმეურნეობებში მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ახდერძში“ 70 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 70-85 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. ამ კოლმეურნეობის მერგოლურ ქუცა სომხიშვილის რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, გიგა ზირაქაშვილის რგოლმა 113 ცენტნერს გადააჭარბა, ნიკა ჭიჭიკაშვილის რგოლმა ჰექტარზე 110 ცენტნერი მიიწია.

ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც 25 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს, დაკრეფილი 15 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

— ახლა უხვმოსავლიან ნაკვეთებზე დავიწყეთ ყურძნის კრეფა, იქ უფრო მეტი რაოდენობით მივიღებთ ყურძნის მოსავალს, — ღიმილით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვლ. ოსოშვილი.

ამ კოლმეურნეობის მერგოლურმა ა. არაქელოვმა მიჩენილი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 130 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, დ. კუტიბაშვილის რგოლმა — 112, ი. დათუაშვილის რგოლმა—110 ცენტნერი ყურძენი და ა. შ.

შესანიშნავად დაამუშავეს ვენახები გურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალისტური შრომის გმირის ი. ალიბეგოვის რგოლი, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ უტიაშვილმა რგოლისათვის მიჩენილი 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მას ბევრად გაუსწრო ახალგაზრდა მერგოლურმა ლევან უტიაშვილმა, რომელმაც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 150-160 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატის სახელი დაიმსახურა აგრეთვე მერგოლურმა გიგა ძიბელაშვილმა, რომელმაც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 114 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ასეთივ გურჯაანელ მევენახეთა წარმატების პირველი შედეგები.

როდესაც თელაველ მევენახეებზე სიტყვა ჩამოვარდება, მაშინვე თქვენს ყურადღებას შეაჩერებენ წინანდალზე, ნაფარეულზე, აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეზე“ და რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავზე“.

წინანდლის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა მთელ ჩვენს რესპუბლიკაშია ცნობილი თავისი ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებით. რვა მათგანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წელს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ჩვენ მოწმენი ვიყავით, თუ რა აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის უმაღლესმა ჯილდომ მეურნეობის მთელ კოლექტივში. მეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა სავანელმა სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

— შარშან 10,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 109,4 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანე. წელს 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერს გადავაჭარბებ, მომავლისათვის პირობას ვდებ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერამდე მოვიყვანო. ბრიგადაში მართლაც უხვი მოსავალი მიიღეს, ჰექტარის მოსავალმა 120 ცენტნერს გადააჭარბა.

ასევე დიდია ამავე მეურნეობის ნასომხრის აგროუბანში მიღებული ყურძნის მოსავალი, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერს იღებენ. აქ კი ვენახი 104 ჰექტარზეა გადაჭიმული. ცალკეული ბრიგადები მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე 105-110 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“, რუისპირის „ყურძენ-თავთავი“ და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობანი ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მოკრეფილ ფართობზე საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე—70-80 ცენტნერია მიღებული, ცალკეულ რგოლებში კი 110-115 ცენტნერი.

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებში გაცხარებული რთველია. მოსავალს ვერ იტევენ მარნები. პირველი მოკრეფილი ყურძენი სახელმწიფო დამამზადებელი პუნქტი-საკენ მიდის.

გურჯაანელ და თელაველ მევენახეთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დრო დადგა.

ვინ გაიმარჯვებს?

ამას მალე დავინახავთ.

ა. კოკილაშვილი

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

მათ გადაწყვიტეს აქ დასახლება

რუსთავის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობაზე სამუშაოდ განუწყვეტლივ ჩამოდიან კოლმეურნეთა ჯგუფები საქართველოს რაიონებიდან. რამდენიმე თვის წინათ ერთი ასეთი ჯგუფი ბეტონის კომბინატშიც მოვიდა. ახალმოსულები თავიდანვე ბეჯითად მოეკიდნენ სწავლას. კომბინატის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ისინი მალე დაეუფლნენ პროფესიას და დამოუკიდებლად მუშაობას შეუდგნენ.

მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისიდან ჩამოსულმა პატრიოტებმა საუკეთესოდ შეისწავლეს მეარმატურის ხელობა. თანასოფელელ ვახტანგ კვერცხიშვილის ხელმძღვანელობით მათ ბრიგადა ჩამოაყალიბეს და ამჟამად საწარმოო დავალებას 130-150 პროცენტით ასრულებენ. მათი ნამუშევარი საუკეთესო ხარისხისაა. ბრიგადის წევრებმა ნ. სარალაშვილმა, ნ. სოლაშვილმა, გ. წიკლაურმა და ლ. ჩივაძემ მოწინავე მშენებლის სპატიო სახელი მოიხვეჭეს. მათ გადაწყვიტეს ქალაქ რუსთავის მუდმივი მაცხოვრებლები გახდნენ.

მშენებლობის დირექციამ ამ მოწინავე მშენებლებს მისცა კარგი საცხოვრებელი ბინები.

ქალაქ რუსთავში მუდმივად დარჩენა და დასახლება გადაწყვიტეს აგრეთვე წილკნელმა გ. სტეფანიშვილმა (მცხეთის რაიონი), ჩარექაულელმა გ. ხუგაშვილმა (ახმეტის რაიონი), ზედაეწრელმა გ. კაციტაძემ (სამტრედიის რაიონი).

საკოლმეურნეო შრომის ეს მოწინავე ადამიანები ახლა ინდუსტრიული რუსთავის წარჩინებულ სტახანოველთა რიგებში დგებიან.

მ. გოგსაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მომხმარებელთა პრეფენზია

ტყიბულის შახტებსა და მის რაიონში ფართო სავაჭრო ქსელია. აქ არის მუშათა მომარაგების სპეციალური მაღაზიები, მოქმედებს საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილებაც. მაგრამ, არც ერთ მაღაზიას და ფარდულში არ მოიპოვება ელექტრონათურები. მიმდინარე წელს არც მუშათა მომარაგების განყოფილებისა და არც საქვაჭრობის დირექციას არც ერთი ცალი ელექტრონათურა არ შეუძენია და გაუყიდია ქსელში.

საინტერესოა რატომ დავიწყეს ამ საავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომ ტყიბულში მეშახტეთა საცხოვრებელი სახლები ელექტროფიცირებულია და ელექტრონათურების მომხმარებლები ბლომად არიან?

მომხმარებლები ე. ბრეგვაძე, ლ. არსენიძე, მ. გაჩეჩილაძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„შემოსავლიანი ადგილი“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ 7 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო სოფელ მჭადიჯვრის (დუშეთის რაიონი) საექიმო უბნის ექიმ ნ. ბარდაველიძის დანაშაულობანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ტოგონიძე გვატყობინებს, რომ ნ. ბარდაველიძისათვის წაყენებული ბრალდებანი მთლიანად დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი. ნ. ბარდაველიძე მოხსნილია სამუშაოდან და საქმე გადაეცა პროკურატურას მისი პასუხისგებაში მისაცემად.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი სოფელ მჭადიჯვრის საექიმო უბნის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

„კლუბის მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 12 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა ტყიბულის ცენტრალური მუშათა კლუბის სუსტ მუშაობას.

როგორც ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გორგიძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი კლუბთან არსებული თვითმოქმედი წრეების მუშაობის გამოსაცოცხლებლად; სასულე ორკესტრს დაენიშნა ხელმძღვანელი; რეგულარულად წარმოებს წრეების მეცადინეობა; კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა 20 ოქტომბრიდან მუშაობს დღის 2 საათიდან საღამოს 10 საათამდე, ასე რომ ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით სარგებლობა მეშახტეებს შეუძლიათ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ. ბიბლიოთეკას დამატებით გაეგზავნა 2 ათასი მანეთის მხატვრული ლიტერატურა. პროფკავშირის ტყიბულის რაიკომთან შეთანხმებით შერჩეულია კლუბის გამგის შესაფერისი კანდიდატურა. დასახულია აგრეთვე სხვა ღონისძიებანი საკლუბო მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

საერთაშორისო მიმოხილვა

სიცოცხლე გაიმარჯვებს სიკვდილზე

ლონდონში 23 ოქტომბერს მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მომხრეთა კონგრესმა, რომელსაც 1090 დელეგატი დაესწრო ინგლისის ყველა კუთხიდან. სტუმართა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა წარმომადგენელნი.

კონგრესმა ცხადყო, რომ ინგლისელ ხალხს სურს მშვიდობა, სურს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, გზა გადაუღობოს ომის გამჩაღებლებს და კაცობრიობა იხსნას ახალი უბედურებისაგან. ინგლისელ მშვიდობის მომხრეებს ესმით, რომ მარტო კეთილი სურვილებით არ შეიძლება ომის თავიდან აცილება. მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარე კროუტერს ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა აღნიშნა: „ჩვენ თავდაცვითი პოზიცია როდი გვიკავია, ჩვენ შეტევითი პოზიცია გვიკავია მშვიდობისათვის ბრძოლაშიო“.

რაც მეტი დრო გადის, ინგლისელი უბრალო ადამიანები უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ამერიკელი იმპერიალისტები სამშოროებას უქმნიან ინგლისის დამოუკიდებლობას. ინგლისში შექმნილია ამერიკის სამხედრო ბაზები. ამერიკელ ომის გამჩაღებლებს განზრახული აქვთ ინგლისელი ხალხი საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ. ინგლისის უბრალო ადამიანებმა იციან, რომ ახლანდელი ლეიბორისტული მთავრობა უოლ-სტრიტის ვასალის როლს ასრულებს, უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე დელეგატებმა სასტიკად გააკრიტიკეს ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა, დაგმეს ახალი ომისათვის მზადება და რეზოლუციაში აღნიშნეს, რომ ხალხებს, რომლებსაც განსხვავებული სოციალური სისტემები აქვთ, შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა.

მაღაროელთა და მსხვილ საწარმოთა მუშების წარმომადგენლებმა კონგრესზე საზეიმოდ განაცხადეს, რომ ყველგან ფართოდ არის გაშლილი მშვიდობისათვის ბრძოლა და „არც ერთ მუშას არ სურს დაამზადოს მასალები ახალი ომისათვის“.

ინგლისელ მშრომელებს შეგნებული აქვთ, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ისინი მარტონი არ არიან, მთა მხარს უჭერს მთელი მოწინავე კაცობრიობა, იციან, რომ მშვიდობის ძალები სჭარბობენ ომის მომხრეთა ძალებს.

კონგრესზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ინგლისელ და მთელი მსოფლიოს ხალხებს საკმაო ძალა მოეპოვებათ იმისათვის, რომ დაამარცხონ ომის გამჩაღებლები“.

ამ დღეებში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ თემთა პალატას გააცნო მთავრობის ახალი პროგრამა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხარჯების შემცირება წელიწადში 250 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. დევალვაციით გამოწვეული ხარჯების შემცირების ეს ლეიბორისტული პროგრამა ლახავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, უფრო დაბლა წევს ხალხის საარსებო დონეს. ამიტომ არის, რომ მთავრობის პროგრამის განხილვამ დიდი გამოხმაურება პოვა მთელ ინგლისში.

ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკა, რამაც მწვავე ეკონომიური კრიზისი გამოიწვია, ძმიმე ტვირთად აწვება ინგლისელ უბრალო ადამიანებს. ეს გარემოება მათ უკარნახებს შემჭიდროვდნენ და ერთობლივი ღონისძიებებით იბრძოლონ მთავრობის პოლიტიკის შესაცვლელად.

ინგლისელი ხალხის აზრი გამოხატა დელეგატმა პრიტმა, რომელმაც მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე განაცხადა: „დიდია ამოცანა. მაგრამ თუ არ შევდრკებით — უეჭველად გავიმარჯვებთ. ჩვენ ვუკარნახებთ ჩვენს ნებასურვილს, სიცოცხლე გაიმარჯვებს სიკვდილზე“.

ინგლისელ მშრომელთ სწამთ, რომ სიმართლე სიცოცხლის მხარეზეა და სიცოცხლე უეჭველად გაიმარჯვებს სიკვდილზე.

ამერიკული „დემოკრატიზმი“

ამერიკელი პოლიტიკანები ბევრს ყბედობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა „დარღვევის“ შესახებ, ექომაგებიან თავისუფალ ხალხთა ბოროტ მტრებს, დოლარებით მოსყიდულ ჯალათებს — მინდსენტებს, რაიკებს, ბრანკოვიჩებსა და ყველა ჯურის გამცემლებს, ამავე დროს არაფერს ამბობენ დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა იმ უხეშ დარღვევაზე, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება.

ამ დღეებში დამთავრდა ამერიკის კომპარტიის 11 ლიდერის პროცესი, რომელიც ცხრა თვეს გრძელდებოდა. მოსამართლე მედინამ უოლ-სტრიტის საამებლად ბრალდებულ კომუნისტებს ხუთ-ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა და თვითეული მათგანი 10 ათასი დოლარით დააჯარიმა. მსჯავრდადებულია ამერიკის კომპარტიის გენერალური მდივანი იუჯინ დენისი, ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის წევრი ბენჯამინ დევისი, კომუნისტური პარტიის ილინოისის შტატის კომიტეტის თავმჯდომარე ჯილბერტ გრინი, ოჰაიოს შტატის კომიტეტის თავმჯდომარე ჰენრი �ჰოლი, პარტიული განათლების განყოფილების ხელმძღვანელი ჯეკ სტაჰელი, ეროვნული კომიტეტის საორგანიზაციო საქმეთა მდივანი ჰენრი უინსტონი, გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორი ჯონ გეიტსი, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები კარლ უინტერი, ჯონ ვილიამსონი და ირვინგ პოტაში. კომუნისტური პარტიის ნიუ-იორკის შტატის კომიტეტის თავმჯდომარეს, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ორდენით დაჯილდოებულ რობერტ ტომპსონს სამი წლის პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს.

რაში დადეს ბრალი ამერიკელი ხალხისათვის თავდადებულ ამ ადამიანებს? სასამართლო პროცესზე წარდგენილი არ ყოფილა საბუთი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა კომპარტიის ხელმძღვანელი მუშაკების დაპატიმრება. განთქმული „ამერიკული დემოკრატია“ პროგრესული აზრებისათვის სჯის ადამიანებს. ამერიკელ მონოპოლისტებს ელანდებათ „წითელი საფრთხე“, „კომუნისტური რევოლუცია“, აშინებთ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ზრდა. ისინი ცდილობენ დაბრკოლება შეუქმნან ამ ძალებს, ჩაახშონ ნათელი აზრი და მაღალი მისწრაფება, გზა გაიკაფონ ახალი ომისა და ახალი მოგებისაკენ.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ ამერიკის კომპარტიის ლიდერთა გასამართლების პროცესს „სასამართლო კომედია“ უწოდა. ეს კომედია გათამაშებულ იქნა იმისათვის, რომ მოეწყოთ ფაშისტური ლაშქრობა პროგრესული ძალების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ჰიტლერელმა ავანტიურისტებმა რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებითა და კომუნისტების გასამართლების ინსცენირებით დაიწყეს თავიანთი „მოღვაწეობა“. ასეთსავე მეთოდს იყენებენ ახლა ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებსაც უნდათ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით გაანადგურონ ყოველივე პროგრესული, დაამყარონ ფაშისტური რეჟიმი და მშრომელ ხალხს ახალი ომის საშინელება დაატეხონ თავს.

ამერიკის კომპარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ფოსტერმა განაცხადა, რომ კომპარტიის 11 ლიდერის საპყრობილეში ჩასმა ტრუმენის მთავრობას სჭირდება, რათა გაატაროს თავისი უგუნური საგარეო პოლიტიკა. მთელი ეს საქმე საყოველთაო მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული „ცივი ომის“ ნაწილია.

ამერიკელ მონოპოლისტებს უნდათ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ძეთოდი გააერცელონ სატელიტ სახელმწიფოებშიც. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გასამართლების პროცესს 15 მოსამართლე ესწრებოდა დასავლეთ გერმანიიდან.

რეაქციის ძალებს ამერიკის შეერთებულ შტატებში იცავს და აქეზებს პრეზიდენტი ტრუმენი. ამერიკის კომპარტიის ლიდერებისათვის განაჩენის გამოტანიდან სამი საათის შემდეგ კომუნისტთა მთავარი ბრალმდებელი მაკგოხი ტრუმენმა დაწინაურა და ფედერალურ მოსამართლედ დანიშნა.

ამერიკელ იმპერიალისტებს კომუნისტთა გასამართლების პროცესით პროგრესულ ძალთა დაშინება უნდოდათ, მაგრამ პირიქით მოხდა. პროცესმა ამერიკის იმპერიალიზმის გასამართლების ხასიათი მიიღო, ხოლო ვერაგულმა განაჩენმა აამხედრა დემოკრატიის ძალები. ხალხმრავალი მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები იმართება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში — კანადასა და ინგლისში, იტალიასა და საფრანგეთში, ავსტრიასა და ჰოლანდიაში, ლათინური ამერიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მიტინგების მონაწილენი რეზოლუციებსა და მიმართვებს უგზავნიან ტრუმენს და მოითხოვენ მსჯავრდადებულ კომუნისტთა განთავისუფლებას.

განაჩენის გამოტანის წინ წარმოთქმულ სიტყვაში დენისმა აღნიშნა, რომ გავა წლები და ამერიკის შეერთებული შტატები სირცხვილითა და გულისწყრომით მოიგონებენ ფაშისტური გასამართლების მსგავს ამ პროცესს...

„დემოკრატიული“ ამერიკის დაჩაგრული ხალხის წარმომადგენელმა დევისმა უოლსტრიტელ მოსამართლეებს დამაჯერებლად უთხრა, რომ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

27 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა კვლავ დაიწყო ეგრეთწოდებული საბერძნეთის საკითხის განხილვა.

კომიტეტის განსახილველად წარდგენილია შემათანხმებელი კომიტეტის მოხსენება და ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისიის მოხსენება. („ბალკანეთის კომისია“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საბერძნეთის საზღვარზე მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის კომისია, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესიაზე. მის შემადგენლობაში შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, მექსიკის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციამ, როგორც ცნობილია, უარი თქვა ამ უკანონო ორგანოში მონაწილეობაზე).

გენერალური ასამბლეის ახლანდელი, მეოთხე სესიის დასაწყისში შეიქმნა შემათანხმებელი კომიტეტი საბერძნეთის საკითხზე (ამ კომიტეტში შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე).

ამ კომიტეტმა გენერალურ ასამბლეას უნდა მისცეს რეკომენდაცია, ერთი მხრივ, საბერძნეთსა და, მეორე მხრივ, ალბანეთსა და ბულგარეთს შორის „არსებული უთანხმოების მშვიდობიანად გადაჭრისათვის“.

კომიტეტმა მუშაობა შეწყვიტა იმის გამო, რომ საბერძნეთის წარმომადგენელი დაადგა აგრესიულ პოზიციას და მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია. საბერძნეთის დელეგატმა ალბანეთსა და ბულგარეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოების პირობად მოითხოვა საბერძნეთის სასარგებლოდ ალბანეთის ტერიტორიის ნაწილის — ჩრდილოეთ ეპირის ჩამოშორება.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელიც ცდილობდა ჩიხიდან გამოეყვანა შემათანხმებელი კომიტეტი, წინადადება შეიტანა, რომ საბერძნეთს საბოლოოდ ეცნო ალბანეთ-საბერძნეთის ახლანდელი საზღვარი. სსრ კავშირის დელეგაცია მის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში წინადადებას იძლევა — მიიღონ საბელმწიფოთა წარმომადგენლების მიმართვა მეომარი მხარეებისადმი მოწოდებით: შეწყდეს საომარი მოქმედება; გამოცხადდეს საყოველთაო ამნისტია; დაინიშნოს პარლამენტის საყოველთაო თავისუფალი არჩევნები და არჩევნების ჩამტარებელ საბერძნეთის უმაღლეს ორგანოში შევიდნენ საბერძნეთის იმ დემოკრატიული წრეების წარმომადგენლები, რომლებიც საბერძნეთში სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობენ; დაწესდეს საბელმწიფოთა, მათ შორის სსრ კავშირის, მეთვალყურეობა საბერძნეთში არჩევნების სწორი ჩატარებისადმი; შეიქმნას საბელმწიფოთა ერთობლივი კომისია სსრ კავშირის მონაწილეობით საბერძნეთისა და მისი მეზობელი ჩრდილოეთი საბელმწიფოების საზღვრების საკონტროლოდ; საზღვრების კონტროლის შემოღებისთანავე უნდა გამოცხადდეს საბერძნეთის მთავრობისათვის ადამიანებითა და მასალით უცხოეთის საბელმწიფოთა სამხედრო დახმარების შეწყვეტა და უნდა დაწესდეს საბერძნეოდან უცხოეთის ჯარების გაყვანის ვადა.

მაგრამ შემათანხმებელმა კომიტეტმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ზეგავლენაში იმყოფებოდა, უარი თქვა საბჭოთა წინადადებების მიღებაზე.

შემათანხმებელი კომიტეტის მოხსენება განსახილველად წარედგინა პოლიტიკურ კომიტეტს, სადაც ამის გამო 27 ოქტომბერს კამათი დაიწყო.

ამ დღეს კომიტეტის სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის პოზიციის დასასაბუთებლად გამოვიდა ა. ი. ვიშინსკი.

თავის სიტყვაში საბჭოთა დელეგაციის მეთაური შეჩერდა შემათანხმებელი კომიტეტის მოხსენებაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთის მთელი საკითხის გადაჭრის გასაღებს შეიცავს ორი მნიშვნელოვანი საკითხის— ტერიტორიული საკითხისა და საბერძნეთში შექმნილი საშინაო მდგომარეობის საკითხის გადაჭრა.

„გაგახსენებთ, — თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, — რომ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე პარიზში, ერთი მხრივ საბერძნეთსა და, მეორე მხრივ მის ჩრდილოეთ მეზობელთა შორის შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება იყო სწორედ საზღვრის საკითხი. ეს საკითხი, როგორც უკვე ამ სესიაზე შემათანხმებელი კომიტეტის მუშაობამ გვიჩვენა, კვლავ იმავე დაბრკოლებას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევისათვის, როგორც დღემდე იყო.

მერმე რატომ ასრულებს ეს საკითხი ასეთი დაბრკოლების როლს, სად მომდინარეობს ეს დაბრკოლება და, მაშასადამე, ვის აკისრია პასუხისმგებლობა ამ დაბრკოლებისათვის?“

ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ ამ დაბრკოლებას ქმნიან საბერძნეთი და მისი მფარველები, რომ საბერძნეთის აგრესიული გეგმები, რომელთაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, აბრკოლებენ ალბანეთსა და ბულგარეთთან შეთანხმებას. საბჭოთა დელეგატმა მოიყვანა უდავო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბერძნეთის აგრესიულ განზრახვას.

საბერძნეთის მთავრობა 1946 წელს ამბობდა: „ალბანეთსა და ჩვენს შორის არსებული ომის მდგომარეობა უნდა მივიდეს ბუნებრივ სამართლიან ბოლომდე საბერძნეთისათვის ჩრდილოეთ ეპირის გადაცემის გზით“.

„აი ის ერთადერთი საშუალება საბერძნეთისა და ალბანეთის ურთიერთობის მოწესრიგების საკითხის გადასაჭრელად, რომელიც საბერძნეთის მთავრობას წარმოუდგენია, — ყოველ შემთხვევაში წარმოდგენილი ჰქონდა 1946 წელს, — აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ.—მაგრამ იგივე რჩება 1949 წელსაც: ეს არის ალბანეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის, როგორც ომის მდგომარეობის, მოწესრიგება, ე. ი. მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ საბერძნეთისათვის ალბანეთის ჩრდილოეთ ეპირის გადაცემის გზით.

რა არის ეს, თუ არა სხვისი ტერიტორიის პირდაპირი მოთხოვნა!“.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გაიხსენა საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ცალდარისის სიტყვა, რომელიც, მოუწოდებდა რა ჩრდილოეთ ეპირისათვის ბრძოლისაკენ, იმოწმებდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის გადაწყვეტილებას, რომელიც რჩევას იძლეოდა — ჩრდილოეთი ეპირი საბერძნეთისათვის შეეერთებინათ.

„აი რატომ ვარ მართალი, — ამბობს ა. ი. ვიშინსკი, — როცა ვამტკიცებ, რომ ეს ხაზი დასახულია და ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების შთაგონებითა და ხელმძღვანელობით.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ დაბრკოლება შეთანხმების გზაზე მუდამ წარმოდგება სწორედ სასაზღვრო საკითხიდან. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. აღმოჩნდა, რომ ეგრეთწოდებულ შემათანხმებელ კომიტეტში შეთანხმების მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება გახდა საბერძნეთის მთავრობის ისევ ეს გიჟური, დამპყრობლური გეგმები. და მართლაც, შემათანხმებელი კომიტეტის მუშაობის დამთავრებისთანავე ათენის მთავრობის პრემიერმა დეომიდისმა 18 ოქტომბერს პრესისათვის გაკეთებულ თავის განცხადებაში, — როგორც ამას „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, და როგორც ეს დღემდე, რამდენადაც ვიცი, არავის უარუყვია,—თქვა, რომ საბერძნეთი ვერავითარი გზით ხელს ვერ აიღებს თავის პრეტენზიაზე ჩრდილოეთ ეპირის მიმართ“

საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ ასეთი განცხადება თავისთავად მეტყველებს. „საბერძნეთის მთავრობას, — თქვა მან, — არა სურს ნამდვილი შეთანხმება საზღვრის საკითხზე. მას ისეთი შეთანხმება სურს, რომელიც წინასწარ არ წყვეტდეს საკითხს იმის შესახებ, რომ ეპირი რჩება ალბანეთის სახელმწიფოს ფარგალში, ალბანეთის კუთვნილებად რჩება“.

შემდეგ ამხ. ვიშინსკიმ საბერძნეთის მთავრობა დაახასიათა, როგორც ინგლის-ამერიკის კაპიტალისტური მონოპოლიებისა და მათი პოლიტიკური დირიჟორების მორჩილი იარაღი.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაური შეეხო სხვა დასკვნას. „თუ შესრულებული არ არის გენერალური ასამბლეის დადგენილება ალბანეთსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, — თქვა მან, — ამ შემთხვევაშიც ბრალი საბერძნეთს ეკისრება, იმიტომ რომ ამ დადგენილების შეუსრულებლობის წყარო კვლავ ის არის, რომ საბერძნეთის მთავრობას (არა საბერძნეთს, არამედ სწორედ საბერძნეთის ახლანდელ მთავრობას) არა სურს ხელი აიღოს თავის მტაცებლურ მდგომარეობაზე ალბანეთის მიმართ და ზოგიერთი სხვა მეზობლის მიმართ. მაგრამ მე მათზე არ ვლაპარაკობ, იმიტომ რომ ახლა ლაპარაკი გვაქვს ალბანეთზე.

იმიტომ ალბანეთის უარყოფითი პოზიცია საბერძნეთის ახლანდელ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისადმი ისეთ გარემოებაში, როგორიც, პატივი მქონდა აქ ჩამომეყალიბებინა, სრულიად ბუნებრივი, სრულიად გასაგები და სრულიად, მე ვიტყოდა, კანონიერია“.

პასუხისმგებლობა საზღვრის საკითხში უთანხმოებისათვის, — ხაზგასმით აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, — უწინარეს ყოვლისა, ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც საბერძნეთში მთელი იმ ქაოსისა და მთელი იმ ავანტიურის მთავარი ორგანიზატორები არიან, რომლებიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ყურადღებას იქცევენ.

შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელი შეეხო მეორე მნიშვნელოვან საკითხს — საბერძნეთის საშინაო მდგომარეობის საკითხს, რომლის შესახებაც აგრეთვე არსებობენ სერიოზული უთანხმოებანი.

„რისი დამტკიცება მსურს მე? — ამბობს ამხ. ვიშინსკი. — იმისა, რომ ბალკანეთის საკითხი არის საბერძნეთის საშინაო მდგომარეობისა და მის ჩრდილოეთ მეზობლებთან საგარეო ურთიერთობის საკითხი. მე მსურს დავამტკიცო, რომ ამ ორ საკითხს შორის ორგანული კავშირია.

მას, ვისაც სერიოზულად სურს ამ საკითხის გადაჭრა, არ შეუძლია გადაჭრას ერთი ამოცანა და უყურადღება არ მიაქციოს მეორეს.

ჩვენ, საბჭოთა კავშირს, არაერთგზის მიგვიქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობის, როგორც საშინაო ისე საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობის, ძირითადი მიზეზია ბრძოლა ბერძენ ხალხსა და ანტიდემოკრატიულ რეაქციულ ძალებს შორის, რომლებიც დაჯგუფებულან თავისი მთავრობის გარშემო, ვისაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეაქციული ძალები.

ამას, ალბათ უნებურად, ბალკანეთის საკითხის კომისიაც კი ყურადღებას აქცევს“.

ა. ი. ვიშინსკიმ მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი საბერძნეთის საშინაო მდგომარეობასა, რომელიც ხასიათდება ბერძენი ხალხის ბრძოლით, პარტიზანული არმიების სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით, ათენის მთავრობის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, საბერძნეთის საგარეო ურთიერთობას შორის. მან აღნიშნა, რომ საომარი მოქმედება საბერძნეთში იწვევს ინციდენტებს საბერძნეთ-ალბანეთისა და საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრებზე. ცნობილია, — აღნიშნა შემდეგ საბჭოთა დელეგატმა, — რომ ბრძოლა გრამოსსა და ვიცში დამთავრდა, მაგრამ განა ამკამად ბრძოლა და შეტაკება არ წარმოებს პარტიზანებსა და მთავრობის არმიის ნაწილებს შორის ბევრგან და, შეიძლება უფლება მაქვს ვთქვა, საბერძნეთის მატერიკის ყველა ოლქშიც კი?

24 სექტემბერს საბერძნეთის მთავრობის არმიის შტაბი აღნიშნავდა, რომ „მთელ ჩვენს ქვეყანაში არმია და ჟანდარმერია განაგრძობენ მოქმედებას, რათა მთლიანად აღადგინონ საბელმწიფოს ძალა-უფლება“.

მაშასადამე, საბელმწიფოს ძალა-უფლება მთელ საბერძნეთში არ არსებობს? მას „აღადგენენ“, და მთელ საბერძნეთში წარმოებს შეტაკება, რაზეც გენერალური შტაბი ლაპარაკობს.

ასეთია საბერძნეთის მთავრობის გენერალური შტაბის რეალიები.

ისინი სრული სიცხადით მეტყველებენ თავისთავად, მეტყველებენ იმაზე, თუ მართლაც რა მნიშვნელობა აქვს საბერძნეთის საშინაო მდგომარეობას ეგრეთწოდებული ბალკანეთის საკითხის გადასაჭრელად.

და აი, ბატონებო, აქედან წარმოდგება ამოცანა: საბერძნეთის საშინაო მდგომარეობის ნორმალიზაცია. საბერძნეთში საშინაო მდგომარეობის ეს ნორმალიზაცია შეიძლება განხორციელდეს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებით, რომლებზეც ლაპარაკია საბჭოთა წინადადებებში“. (საკდესი).

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალური კომიტეტის მოხსენებისა, რომელიც წინადადებას იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსთან შეიქმნას საველე სამსახური და საველე მეთვალყურეთა რეზერვი.

ამ საკითხზე გუშინდელი დისკუსიის მსვლელობაში ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა სეროიზული ეჭვი გამოთქვეს საველე დაცვისა და საველე რეზერვის შექმნის შესახებ რეზოლუციების იმ პროექტების მიღების კანონიერებისა და პრაქტიკული მიზანშეწონილობის შესახებ, რომლებიც კომიტეტმა შეიტანა.

მაგალითად, გვატემალის წარმომადგენელმა საუბრო გახადა საველე სამსახურის უფლებამოსილება — პოლიციის ფუნქციები შეასრულოს სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საველე სამსახურის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების დასაცავად სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიებზე ეწინააღმდეგება სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს. მან თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების უშიშროების უზრუნველყოფა იმ სახელმწიფოოა საქმეა, რომელთა ტერიტორიაზე მისიები იმყოფებიან, და კომიტეტი გაიფრთხილა, რომ საველე სამსახურის შექმნას და მის გამოყენებას სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტები და ინციდენტები გამოიწვიოს.

რეზოლუციების პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საველე სამსახურისა და საველე მცველი რაზმის შექმნას, გამოვიდნენ ბელორუსიის სსრ და უკრაინის სსრ დელეგატები.

ბელორუსიის სსრ დელეგატმა აღნიშნა, რომ არ არსებობს განსხვავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგველის პირვანდელ წინადადებასა და იმ წინადადებას შორის, რომელსაც სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი განიხილავს.

პირველი შეხედვით ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, — განაცხადა ბელორუსიის სსრ დელეგატმა, — რომ გენერალურ მდივანს ისეთი მხურვალე სურვილი დაებადა იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალა, რომ არ დაემყოფილდა ერთი პროექტით, რომელიც გენერალური ასამბლეისათვის მიეღებელი აღმოჩნდა, შეცვალა მხოლოდ სათაურები და იგივე იდეა წარმოადგინა სხვა „გადასინჯული“ პროექტის სახით.

ბელორუსიის სსრ დელეგატმა აღნიშნა აგრეთვე, რომ იმ კითხვის პასუხი, თუ ვინ არის გენერალური მდივნის წინადადების ნამდვილი შთამგონებელი, უნდა ვეძიოთ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების პოლიტიკაში, რომლებიც ისწრაფვიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავიანთი საგარეო პოლიტიკის იარაღი გახადონ.

მან გაიხსენა, რომ წარსულში შექმნილი ყველა მისია და კომისია, როგორც წესი, არ წარმოადგენდა მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, არამედ ინგლის-ამერიკის უმრავლესობის იარაღი იყო.

ბელორუსიის სსრ დელეგატმა გაილაშქრა აგრეთვე საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის წინააღმდეგ, რომელთა ამოცანა, რეზოლუციის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, უნდა იყოს მეთვალყურეობა დაზავების პირობების შესრულებისადმი, პლებისციტის მოწყობისადმი და სხვ. მან აღნიშნა, რომ ასეთი წინადადება წარმოადგენს ცდას გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოს, ვინაიდან სწორედ ეს ორგანო წესდებით უფლებამოსილია გამოიკვლიოს ყოველი დავა თუ სიტუაცია, მხარეთაგან მოითხოვოს დავის გადაჭრა მოლაპარაკების, გამოკვლევის, შერიგებისა და სხვ. გზით, აგრეთვე უფლებამოსილია გვირჩიოს მოწესრიგების სათანადო პროცედურა და მეთოდები დავის ყოველ სტადიაში. აქედან ცხადია, — განაცხადა ბელორუსიის სსრ დელეგატმა, — რომ გენერალური მდივნის წინადადება წარმოადგენს ინგლის-ამერიკის უმრავლესობის ახალ ცდას გვერდი აუაროს უშიშროების საბჭოს და ამიტომ ეს წინადადება კომიტეტმა უნდა უარყოს.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმაც გამოთქვა აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსთან ეგრეთწოდებული საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის წინააღმდეგ.

მან აღნიშნა, რომ ასეთი ორგანოების შექმნა იქნებოდა გენერალური მდივნის რწმუნებათა გადაჭარბება და გამოიწვევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების შერევას.

რაც შეეხება მისიების დაცვას, თუ კი, რა თქმა უნდა, ასეთი მისიები საჭიროა,—განაცხადა უკრაინის სსრ დელეგატმა, — იმათგან, ვისთვისაც ძვირფასია თავისი სუვერენული სახელმწიფოს პრესტიჟი და ღირსება, არავინ იმის წინააღმდეგი არ იქნება, რომ მისიების დაცვა განახორციელონ იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომელთა ტერიტორიაზეც მისიები იმუშავებენ.

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ საველე სამსახური სამხედრო ძალა არ არისო, რომ ეს არც პოლიციის რაზმია, რომ ეს სამდივნოს ჩვეულებრივი ნაწილია, რომელიც საჭიროა გენერალური მდივნის ფუნქციების ნორმალური შესრულებისათვის. მაგრამ რა აქვს საერთო სამდივნოს ფუნქციებსა და გასამხედროებულ საველე სამსახურს? რად დასჭირდათ, — განაცხადა უკრაინის სსრ დელეგატმა, — სამდივნოს რომელიღაც ერთი ნაწილისათვის ჩაეცმიათ ფორმა, გაეგზავნათ ყაზარმაში, ესწავლებინათ სამხედრო საქმე და იარაღი მიეცათ?

საქმე, რა თქმა უნდა, ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ წამოყენებული არგუმენტები როდია. საქმე ეხება იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცეთ გენერალური მდივნის დახმარებით მცველი რაზმი შეადგინონ მეტად მცირე რაოდენობის ქვეყნების და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთადგან. საქმე ეხება იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეცეთ კიდევ ერთი შესაძლებლობა თავისი კაცები იყოლიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიებში.

ასეთი რეზოლუციების მიღებამ, — განაცხადა დასასრულ უკრაინის სსრ დელეგატმა, — შეიძლება გამოიწვიოს მოულოდნელი, არასასურველი სიურპრიზები და მავნე შედეგები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კვლავ დაუჭირა მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტებს და ამასთან ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხში ხელმძღვანელობენ მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებით. პოლონეთის წარმომადგენელმა ოროგოევსკიმ აღნიშნა, რომ დისკუსიამ კომიტეტში ცხადყო აზრთა სერიოზული უთანხმოების არსებობა და რომ ბევრმა დელეგატმა ეჭვი გამოთქვა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციების პროექტების მიღების კანონიერებისა და პრაქტიკულ მიზანშეწონილობის შესახებ, წინადადება შეიტანა—ამ საკითხის განხილვა გადაედოთ გენერალური ასამბლეის მომავალ სესიამდე.

მაგრამ პოლონეთის წარმომადგენლის წინადადება სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობამ უარყო.

ამის შემდეგ კომიტეტი შეუდგა საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის შესახებ მისთვის წარდგენილი რეზოლუციების პროექტებისათვის კენჭისყრას.

რეზოლუციის პირველი პროექტი, რომელიც საველე სამსახურის შექმნას ითვალისწინებს, მიღებულ იქნა 38 ხმის უმრავლესობით, 5 დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ, 8 დელეგაციამ თავი შეიკავა.

რეზოლუციის პროექტი საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის შესახებ მიღებულ იქნა 28 ხმით, წინააღმდეგ ხმა მისცა 7 დელეგაციამ, 18 დელეგაციამ თავი შეიკავა.

სსრ კავშირის, პოლონეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიისა და ბელორუსიის სსრ დელეგაციებმა ორივე შემთხვევაში ხმა მისცეს რეზოლუციის პროექტების წინააღმდეგ.

„როგორც ცნობილი ინდოელი ჟურნალისტი კუმარ გომალი გაზეთ „ნეიშნლ გარდიანში“ წერს, „ცივი ომის“ ზოგიერთი სტრატეგი ვაშინგტონსა და ლონდონში იმაზე ოცნებობს, რომ ინდოეთმა დაიკავოს გომინდანური ჩინეთის ადგილი აზიაში კომუნიზმის შეჩერების პოლიტიკაში“. („იზვესტია“ 23/X).

ჩან კაი-ში (ნერუს): „კომუნიზმის შესაჩერებლად“ მიღებული ამერიკული დოლარების შვეიცარიის ბანკში შენახვაზე ახლავე იფიქრე, მეგობარო.

ნახატი გ. ლომაძისა.

მიზინგი ფურინში საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ ყრილობის პაზივსასვმბ

ტურინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი) საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ ყრილობის პატივსაცემად 26 ოქტომბერს სალამოს ტურინში მოეწყო სახალხო მიტინგი, რომელსაც დესწრო ქალაქის 30 ათასამდე მცხოვრები — მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა და ყრილობის ყველა დელეგატი. ყრილობის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა დელეგაციის გამოჩენას იმ შენობის აივანზე, რომელშიც სხდომა მიმდინარეობდა, შეხვდნენ მყუხარე ტაშით და შეძახილებით: „გაუმარჯოს მშვიდობას! გაუმარჯოს სსრ კავშირს!“.

შეკრებილთ მიესალმა საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი ბერტი, რომელმაც სიტყვა მისცა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ნესმეიანოვს.

აკადემიკოსმა ნესმეიანოვმა ილაპარაკა 200-მილიონიანი საბჭოთა ხალხის მეგობრულ გრძნობებზე იტალიელი ხალხისადმი და განაცხადა: „იტალიის სახელი საბჭოთა ადამიანებს მოაგონებს თავისუფლების სიყვარულს, ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, მოაგონებს გარიბალდისა და გრამშის, მშვიდობისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის დღეგანდელ მებრძოლებს. იტალიის სახელის გაგონებისას ჩვენ გავიხსენებთ ხოლმე მის ძლიერს, შეგნებულ სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც მშვიდობის საგუშაგოზე დგას. იტალიის სახელს ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვუკავშირებთ აღორძინების დიდ ეპოქას, რომელშაც ყველა ქვეყანა საშუალო საუკუნეთა წყვდიადიდან გამოიყვანა, და უნებურად ფიქრით გადავდივართ აღორძინების ახალ დიდ ეპოქაში, რომელიც დღეს ბრწყინავს ჩვენი სიცოცხლეში, ჩვენი ეპოქაში, სადაც შემოქმედებითს შრომას ეწევა სტალინი. (**მეუხარე ოვაცია, შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს!“**).

— ამ დიდმა ეპოქამ, — განაგრძო ნესმეიანოვმა,—რომელიც ჩემი სამშობლოს დღევანდელ დღეს წარმოადგენს, თან მოიტანა ადამიანებისა და ხალხების ნამდვილი ძმობა, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ხალხის კუთვნილება გახადა წარმოების საშუალებანი, ძიწა და მისი წიაღი.

მაშ საბჭოთა და იტალიელი ხალხების მეგობრობა გადავაქციოთ მშვიდობის ურღვევ ბურჯად, გადაულახველ დაბრკოლებად ომის გაჩაღებელთა გზაზე!“.

ქალაქ ტურინის შრომის პალატის წარმომადგენელმა ქალაქის ყველა მშრომელის სახელით საბჭოთა დელეგაციას გადასცა საჩუქარი — მშვიდობისა და მეგობრობის ალამი.

მწერალმა პავლენკომ ამ საჩუქრისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადა მიტინგის მონაწილეებს.

მიტინგის დასასრულს გამოვიდნენ იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი ლელიო ბასო და საფრანგეთის დელეგაციის მეთაური პიერ ჯოტი, რომელმაც ხანგრძლივი ტაშის გრიალში განაცხადა, რომ არც ფრანგი და არც იტალიელი ხალხი ნებას არავის მიაცემს, რომ მათი მიწა-წყალი ომის გამჩაღებლებმა გამოიყენონ როგორც პლაცდარმი აგრესიისა მშრომელთა დიდი მშვიდობიანი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, მშვიდობისა და მსოფლიოს ყველა ხალხის ხელეფერი მომავლის ბურჯის წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სხდომა

ბერლინი, 29 ოქტომბერი. (საკდესი) როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ინფორმაციის სამმართველო იუწყება, 27 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა დაასაბუთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წინადადება მოსახლეობის სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუჯერებლების შესახებ. დაგეგმვის სამინისტროს დაევალა სხვა სათანადო სამინისტროებთან ერთად და ვალტერ ულბრიხტის მონაწილეობით მთავრობის შემდეგი სხდომისათვის შეიმუშაოს სათანადო კანონპროექტი.

საგარეო ვაჭრობის მინისტრმა გეორგ ჰანდკემ სხდომას მოახსენა, რომ 19 ოქტომბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო ჩეთანხმება საქონელგაცვლის შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა ის მეგობრული ატმოსფერო, რომელშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ. რაც ორავე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. მთავრობამ მოიწონა ხელშეკრულების დადება და დაამტკიცა იგი.

ბერძენი პაზრიოზების ანიოკება

სტამბოლი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოირკვა ახალი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამას ეინით ათენის საბუღრო ტრიბუნალის მიერ 38 ბრალდებულს საქმეზე გამოტანილი განაჩენი წარმოადგენს მონარქისტ-ფაშისტების უკანონო ღონისძიების სამბერძნეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ.

იუწყებიან, რომ პროცესზე ბრალდების მთავარ „მოწმედ“ გამოიყენეს პოლიციის აგენტი ცელენდინი, რომელმაც გამოძიების დროს დაკითხა და პირადად აწამა ბრალდებულები სტრელაკოსი, ფამელისი, ძარია მუდენი და მურატიდისი. ბრალდების მეორე ძირშემ პოლიციელმა სეკორიადიმმა დაკითხა და აწამა ბრალდებული ბარბუნაკისი. საბერძნეთის სისტემის სამართლის კოდექსიც კი (114 მუხლი) კრძალავს სასამართლოში ბრალდების მოწმედ საგამოძიებლო ორგანოების იმ თუშაკების გამოყენებას, რომლებიც მონაწილეობდნენ ძიებაში ან წინასწარ გამოძიებაში.

მიუხედავად იმ მხეცური წამებისა და ძალადობისა, რასაც მიმართავდნენ ათენელი პოლიციელები, მათ ვერ მოახერხეს გამოიყენებინათ პროცესზე მათ მიერვე შეთხზული „აღიარებანი“. თითქმის ყველა ბრალდებულმა სასამართლოში უარყო თავისი წინასწარი ჩვენება, როგორც ყალბი და წამების გამო მიცემული ჩვენება. თავისი „ჩვენება“ დაადასტურა მხოლოდ 4 ბრალდებულმა, რომლებიც სინამდვილეში პოლიციის აგენტები არიან. ეს პირები გასამართლებამდე თავისუფალნი იყვნენ, პროცესის დროს სხვა ბრალდებულთაგან განცალკევებით ჰყავდათ და, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგ ტრიბუნალმა გაამართლა. სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი ახალი გამოვლინებაა ტერორის და აღმაშფოთებელი უკანონობის რეჟიმისა, რაც მონარქისტ-ფაშისტებმა საბერძნეთში დაამყარეს ინგლისელ-ამერიკელ ინტერვენტთა ხელმძღვანელობით.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო კონგრესზე

რომი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). 28 ოქტომბერს რომში გაიხსნა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის მე-4 კონგრესი. კონგრესს ესწრებიან მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის, დელეგაციები.

კონგრესისადმი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რომის მერმა რებეკინიმ, იტალიის იუსტიციის მინისტრმა გრასმ და სხვებმ.

კონგრესის გახსნას დაესწრნენ მთელი რიგი გამოჩენილი იტალიელი პო